



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი: გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 48 ნოემბერი 22 1898 წ. № 48

შინაარსი: თანამედროვე ქალაქის მოვალეობა ნ. ყორდანიასა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „კვალის“ კორესპონდენცია. — საზოგადო მოსაზრებანი მოსამართლეობაზე იურისტისა. — გვირიდან გვირამდე. — ჩვენი სახიობა მახაკვალისა. — ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში (დასასრული) ალ. წულუკიძისა. — წერილი რედაქციის მიმართ. — თოფის სროლა, ამბავი გ. წერეთლისა

რედაქციის ადრესი: არცილერის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

თანამედროვე ქალაქის მოვალეობა.

III.

მეორე წერილში ჩვენ აწვდით ის უმთავრესი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება ქალაქის წმინდა მოვალეობაა. მარა თანამედროვე ქალაქი ამით არ იფარგლავს თავის სამოქმედო ასპარეზს. ის მიდის ქვევით და ცდილობს ხელ-მოკლე ქალაქელთა მდგომარეობა აწიოს და განაკავროს. და მართლაც, ეტყვათ, რომ გაამრავლეთ სადგომები, გააღვიღეთ მიმოსვლა, გააიღვეთ საკმელ-სასმელი, გააწეს-რიგეთ ქუჩები, და მერე ვინ ისარგებლებს ყველა ამით? რასაკვირველია ის, ვისაც სახსარი აქვს, საშუალება შეწყვეს, ხოლო ვინც ამას მოკლებულია და ჯიბე ცარიელი აღამებს და ათენებს, იმისთვის არც ერთი ეს გაუმჯობესობა არ არსებობს, ის ამ კულტურულ მოძრაობაში ვერაფერით მონაწილეობას ვერ ღებულობს. და ქალაქის ხალხის უმრავლესობას სწორედ ასეთები შეიცავენ. აჲ, ამ გარემოებაში ქალაქი შეაყენა ახალ გზაზე, მან იწყოს თავის ღარიბ წევრთა ყოფა-მდგომარეობის გამოკვლევა, გამოაშკარავეს და შესაფერი ღონისძიებათა მიღება.

ეს მიმართულება ისე გაძლიერდა და გავრცელდა, რომ ევროპის თითქმის ყველა ქალაქთა მართვა-გამგეობის ღერძათ გადაიქცა. ამ ქვაბთ, ეს სოციალური მოღვაწეობა არსად, დასავლეთი ევროპის არც ერთ კუთხეში, სადაც აღარ არის. სადაც ის მხოლოდ ჩვენში, გაუგებარია ის მხოლოდ ჩვენი ქალაქები მამათათვის. და ან შეიძლება ეს ჩვენთვის საჭირო არ იყოს? რა ბრძანებაა, პირიქით, თუ სადმე ის საჭიროა — უთუოთ ჩვენში, თუ ვისთვისმე ის მიუცილებელი მოთხოვნაა — უთუოთ ჩვენთვის. ევროპაში საზოგადო ასპარეზი ძლიერ ფართო და თავისუფალია. აქ ათასნაირი საზოგადოებები და კავშირებია, რომელთა მიზანია ერთმანეთის დახმარება და საარსებო ბრძოლის ერთათ წაყენა. იქ მუშა-კაცს უკვე მოეპოება იმდენი ცოდნა და საშუალება, რომ მედგრათ შეეტაკოს ცხოვრების ტალღებს და ასე, თუ ისე მეორე ნაპირას გავიდეს. ჩვენში? ჩვენში არც ერთი ეს არ არის. აქ არის მხოლოდ ის, რომ ყოველ საათში, ყოველ დღე უფიცი სოფლის ხალხი ათასობით ჩამოდის ქალაქებში და აქ ეძიებს ცხოვრების წყაროს. მას აქ არც რაიმე „საზოგადოება“ ხდება, არც ვინმე ხელს უწყობს, არც ვინმე ეხ-

ქ. მარტისის სს. სა. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მარება და წინამძღვრობს. ის ალალ ბედზეა მიშე-  
ბული, სადაც გინდა, იქ იმუშავე და როგორც გინდა,  
ისე იცხოვრო. მრავალი ამთავანი ამ ახალ ნიადაგზე  
ფენს ვერ იკიდებს, ახალ პირობებს ვერ იგნებს, ახალ  
ვითარებას ვერ ეწყობა და ქალაქის ზედ-მეტ ხორცათ  
ხდება. ის რაც სოფლიდან ჩამოჰყვა, შემოიხეხარჯა, ტანი-  
სამოსი შემოაგვჯა და იმის მაგიერ, რომ ოჯახი არჩი-  
ნოს, თვითონაც სარჩენი ხდება. თანაც სირცხვილით  
ველარც უკან ბრუნდება და ასე ძალა-უნებურათ აზო-  
ბოქრებულ მორევში სამუდამოთ იღუპება. აი, სა-  
ზოგადოების ეს ნაწილია უმთავრესი ბუდე და წყა-  
რო ყოველნაირ ბოროტ-მოქმედებისა და დანაშაუ-  
ლობისა. მეორე მხრით, არც იმათი ბედა დიდათ  
უკეთესი, რომლებმაც რაიმე სამუშაო იშოვეს და  
კუთხეც გაიჩინეს. ამათი დღის ქირა ისე მცირე და  
უმნიშვნელოა, რომ არა თუ ცოლ-შვილთა პატრო-  
ნობა, თავის თავიც ტვირთათ უხდებათ. აი, ეს არის  
იმის მიზეზი, რომ ქალაქის მუშა ცოლ-შვილს არ  
ეკიდება, და თუ ვინმე მოეკიდა, უთუოთ სოფელში,  
სანამ ის ქალაქისკენ გამოეშურებოდა ზე მას სოფელ-  
შივე ტოვებს. ეს აფერხებს ხალხის გამრავლებას და  
განსაცდელს უქადის თვით ეროვნულ ცხოვრებას.  
თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი  
ქალაქთა შეუძლო და ღატაკ ნაწილს უმრავლესათ  
ქართველობა შეადგენს, ცხადი იქნება ის შედეგები,  
რომელნიც აქედან მოგველის. და, რაც მეტათ სა-  
ყურადღებოა, ეს მიმდინარეობა, ეს ნიეთიერი გა-  
თახსირება უფრო და უფრო იმატებს, ვინაიდან  
თან-და-თან მეტი ხალხი გამოდის სოფელურ კარ-  
ჩაკეტილობიდან და ქალაქებს და სხვა სამრეწველო  
ცენტრებს ეწაფება. და რომ ჩვენშიაც არ განმეორ-  
დეს ის საზარელი სიღატაკე, რომელშიაც ინგლე-  
სის და საფრანგეთის მუშა-ხალხი ამ საუკუნის პირ-  
ველ ნახევარში შთაფარდა, საჭიროა ახლავე იქმნას  
შესაფერი საშუალებანი მიღებული და ევროპის სა-  
ქალაქო პოლიტიკა შეთვისებული. ქალაქის მოღვა-  
წეობა აქ მრავალ-გვარია. ის თვით შრომის ბუნე-  
ბისაგან გამოდის. რა არის შრომა? ის მუშის ფიზი-  
კური და გონებრივი ძალ-ლონის შედეგია. ეს შე-  
დეგი მისი გასაყიდი საქონელია, ამით ვაჭრობს ის  
და თავს ირჩენს. მარა ყოველმა გამყიდველმა უნდა  
იკოდეს მისი საქონლის სად როგორი მოთხოვნი-  
ლებაა, სად რა ფასში იყიდება. მაშასადამე შრომის  
ბაზრის გარკვევა, მისი მდგომარეობის შესწავლა  
მუშის მიუცილებელი საჭიროებაა. თუ მან ეს არ  
იკის, თუ ის ალალ ბედზე მოქმედობს, მისი დამარ-  
ცხება და დაჯაბრება აუცილებელია. ასევე მოუწე-  
ყველა აღებ-მიცემის და მრეწველ ხალხს, თუ კი ის  
თავის საქონლის ბაზარს არ სწავლობს, არ ეძებს

და ისე, უანგარიშოთ, სადაც მოუხდება იქ გზავნის  
გასაყიდათ. მარა, ჩვეულებრივით, ეს ასე არ ხდება,  
ამ უკანასკნელთ შეძლება აქეთ თავისი საქმე გაჩაღ-  
ხონ, ბაზარზე შეგნებულათ გაყიდონ და შეგნებულა-  
თვე ივაჭრონ ხოლო პირველთ კი არაფერი არ გაა-  
ჩნიათ, გარდა თავისი მარჯვენისა, გარდა თავისი გა-  
საყიდი საქონლისა, გარდა თავისი თავისა. და, აი, აქ  
მას ქალაქი ხელს უწყდის და, რაშიაც თვითონ  
უძლურია, ის უჩენს დახმარებას. ის აარსებს ისეთ  
დაწესებულებებს, სადაც შრომის ყოველ გვარი ცნო-  
ბები იკრიბება და მუშა ხალხს მუქათა ეძლევა. ასე-  
თი დაწესებულება ორ ნაირია: შრომის ცნობათა  
ბიურო და შრომის ბირჟა. პირველი შეიძლება მრავ-  
ალი იყოს, თითო ხელობას, თითო ჰქონდეს, ხოლო  
მეორე კი ერთი, აქ ყველა ხელობის მუშა იყოს  
თავს. ამათი მიზანია: 1) იქონიოს კავშირი ქალაქის  
სამრეწველო ადგილებთან, გაიგოს სად რამდენი მუშა  
საჭიროა, ან და სად რამდენი მუშა მეტია; 2) იქო-  
ნიოს კავშირი სხვა ქალაქების ასეთსავე დაწესე-  
ბულებასთან, ჰყავდეს აგენტები სააღებ-მიცემო ცენ-  
ტრებში, კრებდეს ცნობებს შრომის ბაზრის შესახებ  
და სხ. ასეთი ცნობები ყოველ საათში მოდის ბიუ-  
როში ან და ბირჟაში და იწერება ამისთვის გამო-  
კიდულ განსაკუთრებით დაფაზე. მაგ. ბათომიდან  
ატყობიებენ თფილისის ბირჟას: ნავთის მრეწველობა  
შემცირდა, მუშა-ხალხი უსაქმოთ არის; ხოლო აქე-  
დან ატყობიებენ იქით, თფილისში მუშა-ხელის მო-  
თხოვნილებაა, დღის ქირა ამდენია და სხ. ბირჟაზე  
მოდის როგორც მუშა, ისე კაპიტალისტი, გებულობენ  
ყველა ამ ამბებს და ამის შესაფერათ ურადებიან  
ერთმანეთს. აქავე მოდის სოფლელი და შრომის  
ბაზრის გარემოებას ტყობილობს. რომელ ქალაქში-  
აც მუშის უფრო მეტი მოთხოვნილებაა და მაშასა-  
დამე მეტი დღის ქირაა, ისიც იქ მიემგზავრება. ერ-  
თი სატყეით შრომის ცნობათა ბიურო და შრომის  
ბირჟა—ეს ერთათ ერთი საშუალებაა შრომის ბაზ-  
რის გამოსარკვევით და მუშა-ხელის მოთხოვნილები-  
სამებრ გასანაწილებლათ. ეს არის ამავე დროს შუა-  
მავალი კაპიტალისტთ და მუშათა შორის. პირველს  
არ ანებებს მეორის უმოწყალოთ გაყველევას და მე-  
ორეს—უთაებოლოთ სამუშაოს მიტოვებას. გარდა  
ამისა, გაფიცვის დროს იგივე დგება შუაში და მე-  
ცადინეობს მოპირდაპირეთა მორიგებას. ამასთან შე-  
კავშირებულა მოსამსახურეთა ცნობების კანტორაც.  
ამ გვართ, თანამედროვე ქალაქის მოვალეობაა  
სხვა-და-სხვა ხელობის მუშა-ხალხს დაეხმაროს სამუ-  
შაოს შოვნაში და შრომის ბაზრის გარკვევა-გაგება-  
ში. ამით მას ეძლევა არა-პირდაპირი გავლენა მუ-  
შა-ხალხის ყოფა-მდგომარეობაზე. მარა, მისი მოღვა-



წეობა ამით არ თავდება. მას თვითონ აქვს სხვა-და-სხვა საწარმოვეო საქმეები და მამასადამე თვითონ საჭიროებს მუშებს და მოსამსახურეებში. და, აი, ამათზე ქალაქს პირდაპირი გავლენაც აქვს. იმან თავის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობით კაპიტალისტთ მავალითი უნდა უჩვენოს. ამ გზაზე ძალიან ბევრი გააკეთეს ევროპას ქალაქებმა. იქ ქალაქის მუშები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვინემ კერძო მწარმოებლების. მაგ. გასულ წელს ფრანკ-ფურტის (მაინზე) საბჭომ გადაწყვიტა: ქალაქის ყველა მუშები, თანხმად მათი ხელობისა, გაიყოს ხუთ ჯგუფათ და ერთ და იმავე ჯგუფის წევრთ ერთნაირი დღის ქირა მიეცეთ. ის, რაც ერთ დურგალს ეძლევა, ეძლიოს ყველა დურგალს. მიეცეს ქირა უქვევებშიაც და სხ. დრეზდენის და შტუტგარტის მუშებისთვის დაარსებულა განსაკუთრებითი კასები, საიდანაც შემწეობა ეძლევათ დაეარდნილ მუშათ და ქერფე-ობოლთ. გარდა ამისა სამუშაო დღე ევროპის თითქმის ყველა ქალაქის მუშათათვის 8 საათს არ წააცილებს. ამ სახით, ნაკლები სამუშაო დღე და მეტი დღის ქირა - აი საქალაქო მუშათა პოლიტიკა. მეორე მხრით, ქალაქი ცდილობს თავის მოიჯარადრეთა მუშების მდგომარეობაც გაუმჯობესოს და სხვებისთვის სამაგალითოთ განადოს. ამისათვის იჯარის გაცემის დროს ის თვითონ საზღვრავს მუშათა დღის ქირის რაოდენობას და სამუშაო დღის სიგრძეს. ინგლისის, ბელგიის და ჰოლანდიის ქალაქები იჯარას მხოლოდ იმ მოიჯარადრეებს აძლევენ, რომელნიც პარობას დებენ მუშებს აღნიშნული ქირის ნაკლები არ მისცენ და განსაზღვრული დროის მეტა არ ამუშაონ. რა სასტიკათ ეპყრობიან ამას ჩანს, შემდეგიდან: შარშან ქ. კარლსრუემ ერთ თავის საქმის იჯარით გაცემის ვაჭრობაში არ დაუშვა ის ფირმები, რომელნიც ცნობილი იყვენ, როგორც უღმობელნი თავიანთ მუშათა მიმართ. ვიურტემბერგის პატარა ქალაქებმაც კი, სადაც უფრო ხელოსნობა ქარბობს, გადაწყვიტეს ქალაქის საქმეები იმ ხელოსანთ მისცენ გასაკეთებლოთ, რომელნიც თავის შეგირდთ გასაგძელებელ სახელოსნო სკოლებში ატარებენ და სწავლისთვის მეტ თავისუფალ დროს აძლევენ.

მარა თანამედროვე ქალაქი გულმოდგინეთ იღწვის არა მარტო თავის ხელმოკლე მცხოვრებთათვის, არამედ მათ შთამომავლობისათვისაც ის ცდილობს მათ ხელი შეუწყოს და დაეხმაროს შეილების აღზრდაშიაც. ცოლი და ქმარი უმრავლეს შემთხვევაში სამუშაოზეა, მამასადამე საჭიროა მათი ბავშვების პატრონობა. ცოლი თუ შინ დარჩა, ქირას ვეღარ იღებს და ცხოვრება უჭირდება. აი, აქ ჩაერია ქალაქი და ეუბნება: შენ წადი და გააკეთე შენი საქმე,

შვილებს ჩვენ მოვუვლითო. ამისათვის დაარსა ჩვეთ ბავშთა სკოლა, სადაც ბავშს დიდიდან საღამომდი უელიან, საჭკელს აძლევენ, საღამოს მოდის დედა ღშინ მიკავს. დაარსა აგრეთვე სკოლა მოზდილთა ბავშთათვის, (ასე ვი — წლისათვის), რასაც ბავშთა ბაღსაც უწოდებენ (kindergarten). ამას მოსდევს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, სადაც ღარბი შეგირდთ მუქთათ აძლევენ სასწავლო ნიეთთ, ტანისამოსს და საჭმელ-სასმელს. ამნაირათ ბავში აკენიდანვე საზოგადოების საფარველს ქვეშ იზრდება. ის ასრულებს ყველა ამ სასწავლებლებს და ბოლოს 14—15 წლის ცხოვრებაში გამოდის. მარა მას აქაც არ ტოვებენ უყურადღებოთ, აქაც წრთენიან სხვა-და-სხვა საჭირო სწავლა-ცოდნაში, რისთვისაც უარსებენ საკერაო და გასაგძელებელ სკოლებს (საღამომობითა), სახალხო კოთხეებს და სხ. (ამის შესახებ იხ. „კეალის“ № 41). ხელ-მისაწვდენათ ხდიან აგრეთვე საშუალო სასწავლებლებს, სადაც სწავლა თითქმის მუქთია (მაგ. მიუნენის რეალურ გემნაზიაში წელიწადში ± მარკას — 1 მ. 80 კ. —ახდეენებენ სწავლის ფასათ). რაც შეეხება საავთმყოფოებს და, საზოგადოთ, ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვას — ეს იმდენათ ცნობილი და საყოველთაოთ მიღებულია, რამ ამაზე ლაპარაკი მეტათ მიგვაჩნია.

დასკენა. თანამედროვე ქალაქის უპირველესი მოვალეობაა: უარყოს ძველი ინდევიდუალური პოლიტიკა მართვა-გამგეობისა და შეითვისოს პოლიტიკა სოციალური; საგნათ თავის მოღვაწეობისა დასახოს ქალაქის მცხოვრებთა საერთო ინტერესი და მათი უსაჭიროესი მოთხოვნილებანი; ხელი შეუწყოს მოქალაქეთა კულტურულ აღორძინებას და დაეხმაროს მუშა-ხალხს ამ აღორძინებში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს. ასეთია მიზანი და ლტოლვილება ახლანდელი ქალაქის, ასეთია მისი გზადაკვალი.

მეტყვიან: მევე რომელი ქალაქი შედგება ჩვენში ამ გზაზე? რომელი საბჭო იწამებს ამას? ამაზე ჩვენ მოკლეთ მიუგებთ: სანამღა ბაქოს საბჭოს პატრონობენ კაპიტალისტები, თჳლისისას პლუტოკრატები, ქუთაისისას ბუღვარდელები, ფოთისას „ბალი ალები“ და ბათომისას მეწერილმანეები, მანამდის ჩვენი ქალაქები თავს ვერ დააღწევენ რუტინას, ვერ განთავისუფლდებიან ინდევიდუალურ - პურჳუაზიულ შეყედულობისაგან და, მამასადამე, არც ერთი ზემოთ დასახელებული რეფორმა არ განხორციელდება. მხოლოდ, იმათი ბატონობის დასასრული იქნება იმავე დროს დასაწყისი ახალი ხანის, ხანის რეფორმებისა და შეუჩერებელი წინ-მსვლელობისა...

ნ. ყორღანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

თფილისის თამბაქოს ქარხანათა პატრონებმა პირობა შეჰკრეს კახეთის მეთამბაქოეთა წინააღმდეგ. ამით აძლევენ თამბაქოში იმის ნახევარს, რაცა ღირს. ამისგამო მეთამბაქოებმა გადაწყვიტეს გახსნან საკუთარი საწყობი თფილისში და საკრედიტო დაწესებულებას თხოვონ თამბაქოს გიროს ქვეშ სესხი მისცენ.

მკითხველს გაეგონება, რომ თფილისში არსებობს ერთი საზოგადოება, რომლის მიზანია რუსის გლეხკაცობა ჩამოსახლოს ამიერ კავკასიაში. საზოგადოების წევრები და მეთაურებია უმაღლესი მოხელენი, ხოლო სულის ჩამდგმელი კი „კავკაზის“ რედაქტორი ბ. ველიჩიკო. აი, ამ საზოგადოების წევრთ კრება მოხდა 15 ამ თვეს და წაიკითხეს განსაკუთრებით კომისიის სხდომის პროტოკოლი, დამტკიცებული მთავარ-მართებლის მიერ. აი, შინაარსი ამ პროტოკოლისა: მიეცეს რუსის გლეხებს თავისუფალი სახანო ადგილები „უტორკოთ“, ვადით 6—12 წლამდე. დასახლების დროს გუბერნატორებმა სახეში უნდა მიიღონ არა მიწის თვისებები და ადგილობრივი ჰეა, არამედ თვით გადმოსახლებულთა ვინაობა და მდგომარეობა. ისინი უნდა იყვენ უთუოთ რუსები და სარწმუნოებით მართლ-მადიდებელნი. რუსი არამართლ-მადიდებელი (სექტანტი), ან და არა-რუსი არას შემთხვევაში არ უნდა იქმნას დასახლებული.

თფილისში ჩამოვიდნენ გერმანელი კაპიტალიტები, რომელთა მიზანია ბამბის თესლისაგან ზეთის გამოსახდელი ქარხანის გამართვა.

ქუთაისის საბჭოს გადაუწყვეტია გაყვანილ იქნას ქუთაისში ელექტრონის რკინის გზა სამი ვერსის მანძილზე და ამის გაკეთება იჯარით მიეცეს ინჟინერ მიხაილოვს 45 წლის ვადითა.

თფილისში დაარსდა „თფილისის ამშენებელი საზოგადოება“, რომლის წესდება უკვე წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლათ.

სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის მწარმოებელთა კრებაზე, რომელიც მოხდა ამ ერთი კვირის წინეთ ხარკოვში, ინჟინერ ცვიდლერმა წაიკითხა მოხსენება მარგანეცის შესახებ. აი, რა თქვა მან: სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის ზეოდები სარგებლობენ ნიკოპოლის და ჭიათურის მარგანეცით. უკანასკნელი ჯობს პირველს თვისებით და, კარგი მიმოსვლის წყალობით, ადვილი გადასატანიცაა. მაშინ როდესაც ნიკოპოლის მადანი, რომელიც მხოლოდ 42% მარგანეცს

შეიცავს, ფუთი 22 კაპ. ღირს, ჭიათურის კარგისა 50% მარგანეცით, 28 კაპ. იყიდება (მარიუპოლში პიტანილი). მარგანეცის ხმარება რომ რუსეთში გაძლიერდეს, საქ-როა მისი გაიაფება, რაც მოხდება რკინის გზების გაყვანით და ტარიფს დაკლებით. საქიროა ნიკოპოლის მარგანეცის მადნებამდის გაყვანილ იქმნას რკინის გზა, რომელიც ფუთ მარგანეცს 7 კაპეციით გაიაფებს და დაკლებულ იქმნას ჭიათურის რკინის გზის ტარიფი რუსეთში წასაღები მარგანეცისათვის, (1/24 კაპ ფუთზე და ვერსტზე, ნაცვლათ 1/4 კაპ. რომელიც ახლა არის) რაც ფუთ მარგანეცს 8 კაპ. გაიაფებს. ხოლო საზღვარ-გარეთ გასატანი მარგანეცისთვის კი ისევე ძველი ტარიფი დარჩესო. ამით გაძლიერდება რუსეთში მარგანეცის მოთხოვნილება და ევროპაში გაგზავნიან მეტ დამუშავებულ მარგანეცს (ფერომარგანეცი). კრებამ მოიწონა ეს და გადაწყვიტა აღძრას შესაუვრი შუამდგომლობა. (საეაქრო-სამარეწველო გაზ.).

ჩვენ ვეატყობიებენ: იარალოვისა და ალიხანოვის სახარატო ზეოდის მტშები დიდ განსაცდელში არიან ზეოდის შენობის გამო. საქმე იმაშია, რომ ზეოდის შენობის ქვედა სართული ძველის-ძველია, უბრალო ტალახით და აგურით ნაშენი, ხოლო მეორე, ზედა სართული კი ახალი აშენებულთა; ორივე სართულში დიდ-დიდი მაშინები მუშაობენ, რომლებიც ჭერზეა ჩამოკიდებული, და, როგორც კი ამ მაშინებით მიძიმე ტვირთს ასწევენ ხოლმე, მთელი შენობა ისეთ ზანზარს და რყევას იწყებს, რომ გეგონებათ, საცაა ერთბაშათ დაიქცევა და აუარებელ მუშებს, ზეოდში მომუშავეთ, ჩანთქავსო. ყოველთვის, რაცა შენობა რყევას დაიწყებს, მუშებს თმა ყალბზე უდგებათ და პირჯვრის წერით ღმერთს ევედრებიან საფრთხეს გადაეგარჩინეო. თუმცა ასეთ შემთხვევებში ზეოდის პატრონი ათასში ერთხელ მაინც შემოეა ხოლმე ზეოდში, მაგრამ „ნიჩეოო“ იტყვის ხელის ჩაქნევით და საჩქაროთ გარბის გარეთ, ალბათ იმიტომ, რომ მეც მუშებთან ცოცხლათ არ დავიპარხოვო.

სოფ. მუტუხიძან (ქართლი) გლეხი ალექსი მირზაშელი გეწერს: ეს ორი წელიწადია, რაც ჩვენს ს. მეტეხის სკოლაში ქართულს არ ასწავლიდნენ. დღეს სასოფლო სკოლების დირექტორთან ბატონ ბოდანოვთან საჩივარი შეიტანეს. და რადგანაც სხვათა შარის მეც ვიყავი მთხოვნილთაგანი, ჩემზე ძალიან გაჯავრდა. ამავე სკოლის სამლო რჯულის მასწავლებელი ისიდორე კვიციანიძე და როდესაც ინსპექტორი წაბძანდა, ისეთი ჩხუბი და ლანძღვა დამიწყო, რომ იქ მყოფი



კეთილშობილები არა ყოფილიყვენ, იქნება კიდევ  
 ეცემა ჩემთვის. შენ ვინა გკითხავსო, გვინდა ვასწავ-  
 ლით და გვინდა არაო. ისპექტორმა ბოლდანოვმა აქ  
 დანიშნა მასწავლებლათ გრიგოლ ბაბალიანცი, რო-  
 მელმაც თვითვე მიამბო მე: ქართული კარგათ არეცი  
 და ბოლდანოვმა იმ პირობით გამომგზავნა აქ, რომ შენ  
 რუსული ასწავლო, ხოლო ქართულის სწავლე-  
 ბას მე შლედელს მივანდობო. მღედელი უარს ამობს  
 და ამით აქ, ამ სოფლის სკოლაში, ქართული მოის-  
 პო. მე არ ვიცი, ვინარის აქ დამნაშავე? მღედელი,  
 თუ მასწავლებელი.

ბაქოდან გვწყვიტნ: „კეალის“ მკითხველთ უთუოთ  
 ასსოვთ ის პატარა შენიშვნა, რომელიც ჩვენ გვქონ-  
 და ამას წინეთ ბაქო-ბალახანაში მომხდარ მთავრობის  
 რევიზიის შესახებ, მაგრამ ის კი არ გვითქვამს,  
 თუ რამ გამოიწვია რევიზია. რევიზია გამოიწვია მუ-  
 შების თხოვნამ გაგზავნილმა ბაქოს „მეორე კავკასი-  
 ის სამთო ოლქში“ და თფილისის „სამთო სამმართვე-  
 ლოში“, რომელშიაც მთხოვნელნი ჩატადენ რა გაჭიე-  
 რებულ მდგომარეობას როგორც საკუთრათ თავის-  
 თავისა, ისე სხვა თანამომხმეებისას. მაგ. მათ ორი-სამი  
 თვის განმავლობაში ნამუშავეარს არ აძლევენ, უმი-  
 ზეზოთ აჯარიმებენ, თავშესაფარი არ აქვთ და სხ.  
 სამთო სამმართველოს მიუქცევია ამისთვის ყურად-  
 ლება, გაუგზავნია რევიზორები, რომელთაც ყველა  
 ზემოთ ნათქვამი ბოროტ-მოქმედება და ბევრიც კიდევ  
 სხვა აღმოუჩინიათ და როგორც მკითხველებმა უწყ-  
 ყიან დაუჯარიმებიათ პატრონები ზოგი 3000 მან.  
 ზოგი 2000 და ზოგიც ნაკლებით. რევიზია ახლაც  
 გძელდება და ბევრი კიდევ ჯარიმდება, თუმცა რევი-  
 ზორები ისე სასტიკათ და ენერგიულათ ახლა აღარ  
 ეპყრობიან საქმეს, როგორც პირველათ ეპყრობო-  
 დენ. ბევრი ცვლილება მოუხდენია ამ რევიზიას; ნაე-  
 თის მწარმოებელს მანთაშევს და კამპ. ცალკე ბუღალ-  
 ტერი დაუქირავებია, გაუღიდებია შტატი სხვა მოსამ-  
 სახურეებისა, რომ მალ-მალე, თვეში ორჯერ, და-  
 რიგოს ფულები. ნათის მწარმოებელს ცოვიანოვს  
 და კამპ. დაუთხოვნია თავისი მმართველი; საზო-  
 გადოთ ყველა ფაცა-ფუცშია, ცდილობენ მუშე-  
 ბის სადგომების გაუმჯობესობას და სხ. მაგრამ ვინც  
 კი იცნობს ბაქო-ბალახან-ს და იქ მცხოვრებ 16.7±8  
 მუშის მდგომარეობას, რომლებიც 107 სამრეწველოზე  
 და 112 ზავოდზე მუშაობენ და რომელთაც არ აქვთ  
 ბინა, ძინავთ ცას ქვეშ დღე და ღამე, ყლაპვენ აუ-  
 არებელ მტვერს, კვირობ, თუ რა მაგნიტური  
 ძალაა ეს კაპიტალი, რომ ასე სწრაფათ იზი-  
 დაეს მუშას, რომ ორიოდე გროშის გულის-  
 თვის მუდამ გაჭიერებაში იცხოვროს და ბოლოს

თავის ხანმოკლე სიცოცხლეც მას შეწიროს. წვერი-  
 ლებს რომ თავი დავანებოთ თვით სახელ გათქმულ  
 ფორმებმაც, ბენკენდორფის, როდშილდისამ და ნო-  
 ბელისამ, არ იცოდენ რა ექნათ 9 ნოემბერს ბა-  
 ლახანაში მთავარმართებლის მოსელის დროს, რო-  
 მელმაც მუშების სადგომების დათვალიერება მოინ-  
 დომა.

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ბალახანაში „სა-  
 ქველ-მოქმედო საზოგ.“ საკუთარ შენობაში და შეე-  
 ქალაქში ძმ. ნობელსაც დაუწყიათ სახალხო კითხე-  
 ბის გამართვა. ურიგო არ იქნებოდა, რომ „ნათის  
 მწარ. კრების რჩევა“ სალათის ძილიდან განთავისუ-  
 ლდებოდეს და მიაქცევდეს ამას ყურადღებას. გულ-  
 გრილობას, რომელსაც იჩენს იგი მეტადრე ახლა ამ  
 შავი ჭირის მოახლოების დროს, სწორეთ გასაოცა-  
 რია. პროფესიონალურ კურსებსაც კი აღარ იწყებს,  
 თუმცა ჯერ კიდევ აპრილში გადადევს ამისთვის  
 4000 მანეთი.

„კეალის“ კორესპონდენცია.

ბათომი. 15 ნოემბერს მოხდა აქ ხმოსანთა და-  
 მატებითი არჩევნები. 8 საათიდან ამრჩეველებმა ნელ-  
 ნელა იწყო მოგროვება. შესრულდა ათი საათი და  
 სომენტა რიცხვი ცოტაა. ზოგნი ამბობენ, რომ იმათ  
 ამ დილით კრება აქვთ და აწ, საცაა, მოვლენო. შექ-  
 დეგ ისინიც გამოცხადდენ. 10 ს. 25 წ. ამრჩეველთ  
 იწვევენ დარბაზში.

თავმჯდ.—(ქალაქის თავი ლ. ასათიანი). გამო-  
 ცხადდა 124 ამრჩეველნი, ეს რიცხვი საკმაოთ მიმჩ-  
 ნია, რომ კრება გაეხსნა (კითხულობს საქალაქო დე-  
 ბულების 24 და 133 მუხლ.) ასარჩევი არის 14 ხმო-  
 სანი და 8 კანდიდატი. ბარათებით დასახელებუ-  
 ლია 88, ამათში 3 ხმა არა აქვთ, მაშ იგინი უნდა  
 გამოვრიცხოთ. ბარათებით დასახელებულთაგანმა,  
 ვინც ხუთზე ნაკლები ხმა მიიღო, მან თითონ უნდა  
 განაცხადოს სურვილი ყუთის დადგმისა, თუ სურს  
 რომ დაიღვას ყუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ  
 ყუთი არ დაედგებათ (კითხულობს ბარათებით და-  
 სახელებულ კანდიდატებთა სიას). პეშეკროვ, მაშიკ-  
 ოლლი, ნიკოლაძე...

მ. ნიკოლაძე:—მე არ მსურს დავიდგა ყუთი...  
 ხმება.—გთხოვთ! გთხოვთ.  
 თავმჯდ.—ბ-ნო ნიკოლაძე! გსურთ დაიღვათ  
 ყუთი?  
 ხმები.—კი სურს, კი... ჩვენ ეთხოვთ ნიკო-  
 ლაძეს.

ნიკოლაძე: — ემადლობ საზოგადოებას, მარა მე არ მსურს ვიყარო კენჭი.

თავმჯდ. — აგრძელებს კითხვას... თვით-მართელობის წევრი, ივანოვი, უარს აცხადებს ყუთის დადგმისას... ზოგნი კიდევ უარს ამბობენ, ზოგნი სურვილს აცხადებენ. თავმჯდომარე ათავებს სიის კითხვას.

თავმჯ. — ამას გარდა, ვისაც სურს ყუთი დაეღვას, განაცხადოს (ზოგიერთნი თხოულობენ, რომ ეყაროს კენჭი).

ნ. დუმბაძე. — ხუსეინ ალას სურს; იყაროს კენჭი. თავმჯ. — უმორჩილესათ გთხოვთ — ვისაც სურს ეყაროს კენჭი, თითონ განაცხადოს ეს.

დუმბაძე. — ბ-ნო თავმჯდომარე! გთხოვთ ქართულათ აუხსნათ ამრჩევლთ. ბევრს აქ არ ესმის რუსული და...

თავმჯ. — (ქართულათ) ხუსეინ ალა! გსურთ დაიდგათ ყუთი?

ხუსეინ ალა: — არა, ბატონო.

ბ-ნ ნიკოლაძეს თხოვენ, რომ დაიდგას ყუთი. ნიკოლაძე ყოყმანობს, მარა შემდეგ თანხმდება. თავმჯდომარე ათვალისწინებს ყუთებს და უჩვენებს თითოეულ მათგანს ამრჩევლებს — შიგ არაფერი. სულ იყარა კენჭი 56-მა, ამათში ქართველები 28 (ქართველ მაჰმადიანი 6) რუსები 15, სომხები — 12 და ბერძენი 1. თავმჯდომარე ირჩევს ასისენტებს; ამათში 5 რუსია. — 3 ქართველი, 2 სომხი და 1 ბერძენი.

თავმჯდ. — ასისენტის მოვალეობა არის, იდგეს თავის ყუთებთან, მიაწოდოს ამრჩევლთ კენჭები, დაუსახელოს ამრჩეველს მხოლოდ კანდიდატის სახელი, მამის სახელი და გვარი. კანდიდატის ჩინი, ხარისხი და სხვა ამგვარები საჭიროთ არ მიმანია, რომ უთხრან ამრჩევლს...

კენჭის ყრა დაიწყო 10 1/2 საათზე. ცოტათ წინ კენჭის ყრის დასრულებისა, რაჟ. წულაია უცხადებს თავმჯდომარეს: მე სურვილი განაცხადე ყუთის დადგმისა. როგორც ჩანს ჩემთვის ყუთი არ დაუდგამთ, როგორ მოხდა ეს?..

თავმჯდ. — მე სამჯერ წაფიკითხე კანდიდატებისა. რატომ მაშინ არ განაცხადეთ, სურვილი.

წულაია. — კი, ბატონო! მე მაშინ მოვასხენეთ ჩემი სურვილი.

თავმჯდ. — ახლა გვიან არის...

კენჭისყრა დასრულდა 3 1/2 საათზე. დაიწყეს თვლა კენჭებისა და არჩეული აღმოჩნდნენ შემდეგი პირები: პეშეკეროვი 171 თეთრი და 133 შავი ლ. მკედელი 160—144. ს. ქუთათელი — 170 - 133. — იაკ. ოგანეზოვი — 182—132. ან. ჯაფარიძე — 155—149 (ტაშის ცემა), საბაშკილი 157—147 (ტაშის

ცემა) კ. ჩხეიძე 154—150. გრ. ვოლსკი 193—111 (გაცხარებული ტაშის ცემა. ხმები: ბრავო ვოლსკი!.. ბრავო გრიშა!.. — თავმჯდომარის ზარი... უფრო ყვირიან. ვოლსკის ეძებენ თვლით, მარა ის არ არის საარჩევნო დარბაზში). — საბატარაშვილი 164—141 (ტაშის ცემა) იაკობ პოლსკი 154—151. ნ. ჯაყელი — 155—149 — (ტაშის ცემა) პ. მკედელი — 164—140 (ტაშის ცემა) ლ. ქიქოძე 166—138 — (გაცხარებული ტაშის ცემა. გალღერეიდანაც „ბრავოს“ იძახიან). მ. ნიკოლაძე — 160—144 (ტაშის ცემა) გოგიჯანოვი — 170—134. კენჭების თვლა დასრულდა 8 ს. 40 წუთზე. სულ არჩეულ იქმნა 15. ამათში 12 ქართველია, 2 სომხი და 1 რუსი. ზოგიერთნი ამრჩევლნი ქუდს იღებენ და სახლში წასვლას აპირებენ.

თავმჯდ. — ბატონებო, გთხოვთ მოითმინოთ, ხელი უნდა მოაწეროთ, ჩვენ უნდა აგვერჩია 14 ხმოსანი, არჩეულ იქმნა 15. ამათში ვინც ნაკლები მიიღო, ის უნდა ჩაითვალოს კანდიდატათ. ყველაზე ნაკლები თეთრი კენჭი ერგო ბ-ნ პოლსკის და ბ-ნ ჩხეიძეს, მარა ორივეს თანასწორათ, ამისათვის ამ პირებსა წილი უნდა იყარონ...

ალფ. მიქელაშვილი. სრულიდაც ამ პირთ თანასწორი თეთრი არ მიუღიათ, ჩხეიძეს თეთრი მეტი აქვს...

თავმჯდ. — მიქელაშვილო! გთხოვთ გაჩუმდეთ. ბ-ნი ჩხეიძე და პოლსკი აქ არიან?

ხმები — ჩხეიძე არ არის, პოლსკი კი...

მიქელაშვილი — ბატონო! მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა...

თავმჯდ. — (მიქელაშვილს) მოითმინეთ.. პოლსკი, გთხოვთ მობრძანდეთ. (პოლსკი მიდის თავმჯდომარის სტოლთან. თავმჯდომარე იღებს ორ ნაჭერ ქალაღს ერთზე აწერს „ერგოს“, ახვევს ამ ქალაღებს. აწოდებენ პოლსკის ქუდში ჩაყრილ ქალაღებს; პოლსკი იღებს იმას, რომელშიაც „ერგოს“ წერია. რუსები ტაშს უკვრენ).

თავმჯდ. — ბ-ნ პოლსკის ერგო ხმოსნობა. ჩხეიძე კანდიდატათ დარჩება.

ალფ. მიქელაშვილი. — ბ-ნო თავმჯდომარე! გთხოვთ მომისმინოთ. დღეს აქ ამრჩევლნი წარმოადგენენ 35-ს ხმებს. თუ ამრჩევლმა თავის ყუთში ჩაიდვა კენჭი, რაც კანონიერი არ არის, მაშინ შავის და თეთრს კენჭის რიცხვი, ერთათ შევრთებული იქნება 305; თუ თითონ არ ჩაიდვა კენჭი, რაც საზოგადოთ მიღებულია, მაშინ — 304. ბ-ნ ჩხეიძეს, როგორც ჩანს, თითონ არ ჩაუდვია მის ყუთში კენჭი. მან მიიღო 154 თეთრი და 150 შავი, ეს რიცხვები, ერთათ რომ შევაერთოთ, გამოვა 304.

პოლსკიმ მიიღო 154 თეთრი და 151 შავი, ე. ი. მთლათ 305. მაშ მას თავის ყუთში ჩაუდგია 1 თეთრი კენჭი. აბა, შავის განყოფილებისკენ ხომ არ ჩადებდა?!. მას რომ ეს მისი ჩადებული თეთრი კენჭი გამოურიცხვოთ—დარჩება 153 თეთრი და 151 შავი. მაშასადამე, ჩხეიძე უნდა დარჩეს ხმოსნათ და არა პოლსკი.

თავმჯდ. — ჩხეიძემ და პოლსკიმ თანასწორი რიცხვები მიიღეს თეთრი კენჭებისა: 154 ჩხეიძემ—154 პოლსკიმ.

მიქელაშვილი: — ბატონო! ჩხეიძესაც პოლსკისავით რომ თავის ყუთში თეთრი ჩაედგა, მაშინ ის მიიღებდა 155 თეთრს.

თავმჯდ. — თანასწორი რიცხვი მიიღეს ორივემ თეთრი კენჭებისა...

მიქელაშვილი: — კარგი... ვთქვით რომ თანასწორი მიიღეს, რადგან თქვენ ეს მეტის-მეტათ გსურთ. ახლა ვიკითხოთ: შავი კენჭები თანასწორათ მიიღეს? ჩხეიძემ მიიღო 150 შავი, პოლსკიმ 151. (ხმის აშალღებით) მაშ, სამართლიანობა მოითხოვს ხმოსნათ დარჩეს ის, ვინც ნაკლები მიიღო შავი, ე. ი. ჩხეიძე. ამით დასრულდა დამატებითი არჩევანი... ბათუმის მომავალ საბჭოს ხმოსნებს შეადგენენ: 21 ქართველი (ჩვენ აქ ბ-ნ ჩხეიძეს ვათვლით) 8 რუსი, ბერძენი 6 და სომეხი 6...

კანკან.

საზოგადო მოსაზრებანი მოსამართლეობაზე.<sup>1)</sup>

სამართლიანათ რომ გამოვარკვიოთ რომელიმე მოსამართლის გადაყენების საქმე, საზოგადოთ „სასამართლო წესდების“ ((судебные уставы) თვისების შესახებ უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა და კერძოთ „სისხლის სამართლის წარმოების წესდებასაც (уставъ уголов. судопр.) უნდა შევეხოთ.

უწინ რომ მოსამართლისგან თხოულობდენ, საქმეები გადაწყვიტა ფორმალურათ, ესე იგი მიუცილებლათ უნდა დაეცვა კანონით შემუშავებული წესრიგი, თუნდ რომ ამ გვარი გადაწყვეტით უსამართ-

ლობაც ჩაედინა, ამის მაგიერათ 1864 წლის რეგულაციამ (სამოსამართლო ცვლილებამ) პირველ ხარისხზე დააყენა პრინციპი სამართლიანობისა, ესე იგი ფორმალური გასამართლების მაგიერათ „ახალმა სამართალმა“ მიიღო მხედველობაში გარემოება, კერძო შემთხვევა და იმის და მიხედვით მოსამართლეს ნება მისცა თავისი სინდისის დაკითხვით ეხელმძღვანელა იქ, სადაც ქვეშაობების აღმოსაჩენათ საკმაო არ იყო ფორმალური რეგლამენტაცია კანონმდებლობისა, სადაც კანონმდებლის მიერ შედგენილი სამართლის წარმოება ვერ მოახერხებდა სამართლიანათ საქმის გადაწყვეტას, ქვეშაობების მიკვლევას. აი, ამიტომაც ჩვენ სიტყვა-სიტყვით როდი უნდა გვესმოდეს აზრი წესდების თითოეული მუხლისა. არ შეიძლება ვთქვათ, რომ რადგან ამა-და-ამ შემთხვევისათვის „სამოსამართლო წესდებაში“ არაფერი არის ნათქვამი, ამისთვის სამართლიანობის დარღვევას ყურადღება არ უნდა მიექცესო, თუნდ რომ იმ შემთხვევისათვის სამართლის მინიჭებას თხოულობდეს საზოგადო აზრი და მოთხოვნილება ახალი კანონმდებლობისა. მაგალითისათვის შორს არ წავალთ: „სისხლის სამართლის წესდებაში (уставъ уголов. судопр.) ნათქვამია, რომ განჩინების დასადგენათ მოსამართლე უნდა ხელმძღვანელობდეს თავის შინაგანი დარწმუნებით. ამ შემთხვევაში მთელი წარმოებული საქმე თავისი დამტკიცებებით შესაძლებელია კიდევ გაუქმდეს, თუმცა არც ერთი გონიერი იურიისტი, ანუ კანონმდებლობის მეცნიერი კაცი იმას არ იტყვის, რომ მოსამართლეს ნება ჰქონდეს, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, წინააღმდეგ ლოლიკასა, სამართლიანობისა და კანონმდებლობის ძირითადი დასკვნისა. კანონი იმიტომაც არ უთითებს ამებზე, რომ სურს განიერათ გაადოს სამართლის კარი, რომ მუდამ ტანმთელი ჰაერი, ცხოვრების ვითარებისა, ტრიალებდეს დახშულ სასამართლოს დარბაზში. ავიღოთ მეორე მაგალითი. კანონში ერთი სიტყვაც არ არის იმაზე ნათქვამი, რომ ნათიც მოსამართლეებს ნება არა აქვთ სასჯელი რამე მიუსაჯონ დამნაშავეთ ცნობილ პირებს. მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ასე უნდა იყოს, ამას მოითხოვს თვით კანონმდებლობის აზრი, რომელიც ხსნის, თუ რა მოვალეობა, დანიშნულება აწევსთ ნათიც მოსამართლეებს.

შესაძლებელია ბევრი წინააღმდეგიც გამოჩნდეს ასეთი წესისა და არც იცნოს სამართლიანათ ამ შემთხვევაში ნების მიუცილებლობა ნათიც მოსამართლეებისადმი, მაგრამ სანამ სამოსამართლო წესდებს (судебные уставы) ძალა აქვს და არ გაუქმებულა, ან მის მაგიერი კანონთა კრებული არ შემოუღლიათ,

1) ამ წერილს „გვალში“ ვათავსებთ ანა იმიტომ რომ „ივერის“ ანლაკატ „ჩიორას“ მასუსი გავრკითხავთ, ანაქედ იმიტომ რომ ეს საქმე ნათლათ გამოიწვევს და გარდა სხვაობისა მსჯავრისა იურიდიული მსჯავრის დაედას. რაც შეეკება „ჩიორას“ ანლაკატურ სტაქებს, ამას, რასაკვირვლია, ანაუითარა კავშირი არ აქვს იურისპრუდენტისთან.





მანამდის, ასეთს წეს-რიგს ძალა არ დაეკარგება და არც გაუქმდება სპეციალური რაიმე დაკანონებით. იგივე ითქმის ჩვენ მიერ ნაჩვენებ შემთხვევაზედაც, არის ერთი საზოგადო დადგენილება, რომლის წინააღმდეგ ვერაფერს ვერაფერს იტყვის: „არავის ძალუძს მოსამართლეობა“ თავის საკუთარ საქმეში“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეს მართებს, უცხო იყოს იმ საქმისა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს, სადავო საქმე მას არ უნდა ეხებოდეს. კანონს ორი მუხლი აქვს დაწერილი ამ წეს-რიგის განსამართლებლათ. მუხლი 802 ამბობს, რომ მოსამართლემ თავისი აზრი მხოლოდ გამოძიებაზე უნდა დაამყაროს და უფლება არა აქვს მიიღოს მხედველობაში სხვა, გამოძიების გარეშე მყოფი, წყაროები. აქედან ცხადათ ჩანს, რომ მოსამართლეთ არ ვარგა ის პირი, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს იმ საქმესთან, რომელიც თვითონ უნდა განსაჯოს და გადაწყვიტოს. კაცი მანქანა ხომ არ არის? ის ვერ დაფარავს თავისი მოკერძობას, ვერ დახმავს თავისი სიმპატიას და ანტიპატიას. თუ ის კეთილშობილი გრძნობებით არის გამსჭვალული, მაშინ იგი მიჰკერძობს თავის მოწინააღმდეგეს და თუ მდებალი სულის არის, მაშინ მისი გული შურს აკებს მას. ყოველშემთხვევაში საშუალო ადამიანს არ შეუძლია აქ სამართლიანობა დაიცვას. მუხლი 600 ამბობს მოსამართლის გადაყენების შესახებ, როცა ის, ან მისი მხლობელი ვინმე გარეულია გასასამართლებელ საქმეში. აბა, ენახოთ, რას ამბობს კანონი? იგი ამბობს, რომ მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს წინაღონი შედგენილი მიკერძობითი მსჯელობა საქმისა, მას სრულიად არ უნდა ეხებოდესო ეს სადავო საქმე. მართალია, სენატის განმარტებებში არა არის რა მოხსენებული ამისთანა შემთხვევაზე, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ყველა მოსამართლეები იმდენათ მორიდებულნი იყვნენ, რომ თვითონვე გადადგებოდნენ ხოლმე, როგორც კი შეატყობდნენ, რომ მათი გასასამართლებელი პირი მათთან ცუდ დაპოკიდებულებაშია.

იუჩისტი.

### კვირიდან კვირამდე

ჩოქში, ჩოქში! — აი გიდი მკობსებო! —  
 რეგენი საქმეს წახსდენს... — ანჯაბტუ-  
 რი ჩხიჩ-კედელაობა. — განცხადება.

ჩვენ ბედს ძალი არ დაჰყევს. საიდანაც არ გინდა და ვინც არ გინდა, ჩვენ მოგვევლინება სატრუი-  
 ალოთ და სახსნელათ. ოლონდ ერთი კი გვითხრას


„შენ გეტრფი მარადო“ და იმის ფასი მთელ დღეში ახე აღარავინ იქნება. მაშინვე დაეკრავთ ბუკნალ-  
 რას და მთელ ქვეყანას შეეძრავთ: ჩამოდქით, მუ-  
 ხლი მოიდრიკეთ მის წინაშეო. და, მოგვცათ სი-  
 ცხლე, ჩვენ ვიდრეკთ და ვიდრეკთ ამ ჩვენ სუსტ  
 მუხლებს და ხან-და-ხან ამასაც აღარ ვჯერდებით და  
 ამ ჩვენ გაყევილ წელსაც მივაყოლებთ ხოლმე. ვგო-  
 რავთ და ვგორავთ მიწაზე მის პატივსაცემლათ და  
 ჩვენდა საამაყოთ. ბედნიერი ვართ, ბედნიერი, მე და  
 ჩემმა ღმერთმა. აბა, ვინ მოაოიქრებდა, რომ ამ მე-  
 ცხრამეტე საუკუნის დასასრულს ასეთ საპავალითო  
 ნიქს გამოვიჩენდით და მეოცე საუკუნესაც ასე დი-  
 დებულათ შევხედებოდით. ტყვილა კი არ არის ნა-  
 თქვამი, კაი ცხენი ბოლოსო. არა, ძალიან კარგ  
 დროზე კი მივხედით, რომ ახლა გამართვას გაშ-  
 ლართვა ჯობს და წამოდგომას გაწოლა. და აი,  
 კიდევაც კიდის კიდემდე ბრძანება გავეცით „ჩოქში,  
 ჩოქში!“.

\* \*

მარა ერთი კი არის, რომ გარდა ჩოქვისა არაფე-  
 რი არ შეგვიძლია. დახმარება, შეყვარება იმისი, ვინც  
 ბედი აკან დაჩაგრულია — სრულებით არ ვიცით, და  
 განსაკუთრებით, თუ ამ მდგომარეობაში ჩვენი  
 მხსნელი და მოტრფილვე ჩავარდა. მაგალითი,  
 მადლობა ღმერთს, შორს არ არის. ვინ არ იცის,  
 რომ ბ. ველიჩკო ჩვენი მეგობარი და მეზიარალტრეა.  
 ვის არ გაუგონია ეს, სად არ გაეარდნილა მისი სა-  
 ხელი. მიყრუებული სოფლის ბავშვებც კი ზღაპრათ  
 მოუთხრობდნენ მის საკმირო ამბებს. და, აი, ახლა ის  
 ბრძოლის ველზე გამოვიდა და ჩვენ ყურებსაც არ  
 ვიბერტყავთ! ბ. ველიჩკო შეეტაკა ბ. ბეკს,  
 თფილისის გუბერნიის სახანო მამულების მმარ-  
 თველს. ის მას ბრალს ადებს, შენ არ მემცადინეობ  
 თფილისის გუბერნიის რუსებით დასახლებასო... ამა-  
 ზე ბ. ბეკი თავს იმართლებს, ემეცადინეობ, ძა-  
 ლიანაც ემეცადინეობო, მარა ბრალმდებელს ეს არ  
 ჯერა და არის ასე გახეთის ფურცლებზე დავიდარა-  
 ბა ატეხილი. და ჩვენ კი გულ-ხელ დაკრეფილი და  
 თვალ-ცრემლიანი ვდგევართ შორი-ახლო და ბ. ვე-  
 ლიჩკოსთვის გასამხნეველ სიტყვებსაც აღარ ეხარ-  
 ჯავთ! ღმერთო ჩემო, როგორ ვცამეთ სირცხვალი!  
 მაშ რატომ გამოვაცხადეთ ის ჩვენ მედროშეთ, თუ  
 კი მხარს არ დაუჭერდით? საბრალო ველიჩკო! მო-  
 გვიტყვეთ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ კაცნი ვართ.

\* \*

და რადგანაც კაცნი ვართ, შეცდომას შეცდო-  
 მაზე ჩაეღაფართ, ნახტომს ნახტომზე ვაკეთებთ, რასა-  
 კვირველია. თუ კი კურატივით ჩასუქებული თფი-



ლელო სულ ხტომა-ხტომით საქმიანობს, რაღა იქნება ფურცელივით გამოფიტულ-გამოწერწეტებული ქუთათურის საქმიანობა, ეს ხომ სულ ბზრიალასავით იკოტრიალებს. პირველი, მოგვეხსენებათ, იმ დაღაბურულ „კონკამ“ ისეთ ალაგას ჩაკოტრიალა, საიდანაც დიდათ გასაჭირია უკანვე ამოკოტრიალება. ახლა ეს შეშურებია მეორეს და ერთი ნახტომით თავი ამოუყვია არა თუ მის გვერდზე, არამედ წინაც კი გაუსწრია. ყოჩაღ, ყოჩაღ, სიცქაფეც ასეთი უნდა. დიახ, ქუთაისსაც ეყოლება „კონკა“, უკაცრავათ, (ეს თფილისის ხელობაა), ელექტრონის ტრამვაი, ანუ, მოკლეთ, „ელექტრიკი“. მარა ეს მას სახელათ ეყოლება, სახრავათ კი ვილაც მიხაილოვისთვის გადაუცია, შენი შენთანაო. ეს მიხაილოვი, რასაკვირველია, ერთ შევნიერ დღეს ქუთაისის რობი განდება და მერე დონჯ შემოყრილი იძახე: ეუი ჩვენ თავს, ეს რა მოგვივიდაო! ამასაც კიდე შევუტიოვდებოდით, რა ჯანია, თუ კი უთუოთ სხეებისთვის უნდა მიეცათ ეს საყლაპავი, ქე მინც მიეცათ ისე, როგორც წესი და რიგი იყო, ე. ი. გამოეცხადებიათ საქვეყნოთ (რუსეთში და სახლვარ გარეთ) მობძანდით, ვინც ყლაპვის მოყვარული ხართო. და, როგორც იცით, ოღონდ თათლი კი იყო, და ბუზი ბაღდადიდანაც კი მობზუილდება. ქუთაისის საბჭოს კი ასე არ უნებებია, იმას ისე შინაურულათ, მამაშვილურათ გაუთავებია საქმე. და შემდეგ კიდევაც რომ ინანოს, არაფერია, რადგანაც ნათქვამია „რეგენი საქმეს წახდენს, ფათერაკს დაბრალებსო“.

\* \*

რაღაც საფათარაკოთ „ივერიასაც“ ატეხია ერთი მისი მესვეური. ეს განლავს საქართველოს განმანათლებელი „ჩიორა“. ამას წინეთ ჩვენ ვწერდით, რომ „ჩიორა“ იანვარის მოახლოებამ გამოაღვიძა და საკენკისათვის წრაიანი მორთო-თქვა. ახლა გამომდგარა და გვარწმუნებს საკენკისათვის კი არა, სიმართლისათვის ავწრიზინდო. და მერე არ იტყვით, რა სიმართლეა ეს? რა და ქუჩის მოკრივე ჯილდოს ღირსიაო! ამით ჩვენ ეტყობილობთ, რომ „ჩიორა“ კრივის მოტრფიალევ ყოფილა. მარა ეს შეითან-ბაზრის გმირი ამასაც არ ჯერდება, ის აბლაკატურ „რეჩებს“ მოყოლია და „ტატიების“ ძალით თავის სამშობლოს, შეითან-ბაზრის, დევ-გმირთ თავ-გამოდებით იცავს. და რა არის აბლაკატის ხელობა, თუ არა თეთრის გაშავება, შავის გათფორება და აქედან საკენკის მოპოება. ეს ასე რწამდა თვით მოსე მწერალს და უეჭველია ასე რწამს „ჩიორასაც“. განსხვავება იმაშია, რომ ჩვეულებრივი აბლაკატი სადღაც სიბნელეში ჩხირკედელაობს, თავისი ხელობის თვითონვე რცხენია, ხოლო „ჩიორა“-აბლაკატს სი-

ბნელო აღარ უქმარებია და თვით გახეთის ფურცლებზედაც კი წამოყვეყებულა: შემომხედეთ, კლიენტებო, რა შესანიშნავი აბლაკატი ვარო! ოღონდაც, სახელოვანო „ჩიორა“! აქაცა-ხართ, იქაცა ხართ და ბოლოს...

\* \*

და ბოლოს ის, რომ „ივერია“ ისევ აცხადებს: გამოვალ მომავალ წელს ისე, როგორც წინეთო. საოცარი ამბავია! მას შემდეგ, რაც „ივერია“ დაარსდა, ჩვენი ქვეყანა ძირიანათ შეიწყა, დაიმართა რკინის გზები, ტელეგრაფ-ტელეფონები, გაჩაღდა ქალაქები, აღიზარდა ახალ-ახალი თაობები—ერთი სიტყვით ყველაფერი შეიცვალა, არ შეცვლილა მხოლოდ ერთათ ერთი „ივერია“, ის ეს ოცი წელიწადია აცხადებს და აცხადებს: ვიქნები ისე, როგორც წინეთო! აი, სწორეთ ეს უნდა იყოს ის პროგრესია, თუ რაღაც ჯანდაბაა! მარა ეს ახირებული მორეკლამე შეცდომაშია, ჩვენ გვინდა განცხადება ფაფუსწოროთ. გვინდა დეარწმუნოთ, რომ ის ისე აღარ გამოდის, როგორც წინეთ. წინეთ მას აკლდა ისეთი სახელოვანი ბურჯი, როგორიც „ჩიორაა“. „ჩიორა“ მან ბოლო წლებში შეიძინა და მამასადამე რეკლამაც ასე უნდა გადაკეთდეს:

სააბლაკატო, სადევ-გმირო და სასაკენკო ვაზეთი  
 „ივერია“  
 გამოვა 1899 წელს ისე, როგორც 1898 წ.  
 ლედახტორი „ჩიორა“.



ჩვენი სახიობა.

ნოემბრის 19-ს ქართულმა მსახიობთა დასმა წარმოადგინა „ალერსთა ბადე“, გადმოკეთებული და გადმოქართულებული პ. უმიკაშვილის მიერ კრილოვის კომედია „Въ осадномъ положеніи.“ საზოგადოაზრი თხზულებისა ის არის, რომ მეტისმეტი პატივისცემა და სიყვარული იმავენაირათ აბეზრებს კაცს თავს, როგორც თვით სიძულვილი. კომედია ცოცხალი რამ გამოვიდა სცენაზე. კარგი იყვენ ქ. კარგარეთელისა, ქ. ჩერქეზიშვილისა, ბ. ვ. აბაშიძე და ბ. კანდელაკი თავის როლებში. ქ. კარგარეთელმა პირველათ გამოიჩინა არა ჩვეულებრივი სიცოცხლე. ცოტა გადამეტებაც ეტყობოდა. გაბუნია-ცავარლისა რომ გამდლის როლში არ გვენახა, გუშინდელი თამაში ქ. ჩერქეზიშვილისა კიდე უფრო მოგვეწონებოდა. ამ კომედიაში პირველათ გამოვიდენ სცენაზე ახალნი მსახიობნი: ქ. სავანელი, ქ. თამარიშვილისა და ბ. იმერიძე, სამივემ რიგიანათ თამაშეს პირველი შემ-


თხვევისთვის. იმედია, თუ ეკლდებიან, კარგი მსახიობები გამოვლენ მომავალში. ქ. საენელისას ნიჭიც შეეტყო, თუმცა პირველ შემთხვევაში არაჩვეულებრივად შეკრთა, რომლისგამოც საკმაოდ ხმა-მალლა ვერ ლაპარაკობდა. ამათი გაწრთენისთვის ბბ. რეჟისორებს მადლობა ეთქმის, პირველი საქმეა, რომ ახალ მოთამაშეებს თვით რეჟისორებმა ურჩიონ მთელი პიესების წაკითხვა, რომლებშიაც ისინი მიიღებენ მონაწილეობას და იმათი აზრი კარგათ შეაგნებინონ; აგრეთვე რეპეტიციების, ანუ წვრთნის დროს, უნდა უთხრან ხოლმე რომელი კარებიდან უნდა გამოვიდნენ, ან რომელი კარებით გავიდნენ. აგრეთვე მსახიობებმა უნდა აცალონ ერთი მეორეს თავისი თამაშის დამთავრება. წარმოდგენაში პირველი საქმე ის არის, რომ მსახიობები არ უნდა აუჩქარდნენ მოქმედებას.

ერთი უალრესი ნაკლულევენება ჩვენი მსახიობთა დასისა ის არის, რომ სცენაზე როცა მრავალი პირი ერთათ გამოჩნდება სათამაშოთ, სურათის ჩატარებას მწყობრათ ვერ ახერხებენ, ალარავენ არ იცის თავთავისი ადგილი, აირვეიან ერთმანეთში და ხშირათ ერთი მეორეს უშლის, ერთი მეორეს ჩრდილავს და საზოგადოთ ბუნდი სურათი გამოდის ხოლმე მოქმედებისა. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ მსახიობებს შკოლა არ გაუვლიათ სამსახიობო თამაშობისა. მით უმეტეს უნდა მიაქციონ მკოდნე რეჟისორებმა ამ ნაკლულევენებას თავისი ყურადღება და მრავალ ერთდროს მოთამაშეთა შორის მკაცრი დისციპლინა დააწესონ, ყველას თავთავისი ალაგი უჩვენონ საერთო მდგომარეობის დროს და არაეის ნება არ მისცენ იმის შესაფერ ალაგიდან დაიძრას სამსახიობო სურათის შედგენის დროს.

საზოგადოება ამ წარმოდგენაზედაც ცოტა დაესწრო. უმთავრესი ამის მიზეზი უნდა იყოს ეკონომიური მხარე. ქართული სცენის მაყურებლები უნდა იყოს ქართული „მასსა“ და არა საზოგადოება, რადგან ჩვენ საზოგადოებას უფრო არისტოკრატიული ელფერი ადევს და, მოგეხსანებათ, ჩვენი არისტოკრატია უფრო ოპერებს და რუსულ წარმოდგენებს წყალობს. ხოლო რაც შეეხება ქართულ „მასსას“, იმას ძალიან ძვირათ მიაჩნია თუნდ კვირაში ერთი მანეთიც გადაიჩინოს სულიერი სიამოვნებისათვის. ამისთვის დრამატულ გამგეობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებებს. პარტერში პირველი სამი წყება სკამებისა 2 მანეთზე მეტათ არ უნდა ღირდეს. დანარჩენი წყების სკამების ფასი ამის და შესაფერათ უნდა იყოს შეზღუდული. უკანასკნელი რიგება კი არ უნდა აღემატებოდნენ ექვს შაურს. ლოკები. სამ მანეთს ზევით არ უნდა იყონ, ლიტერნი ლოკები კი ოთხ მანეთათ. ქანდარა ორშაურათ. აი, მაშინ

ქართული თეატრი ყოველთვის საესე იქნება და მსახიობნიც უფრო კარგათ იქნებან დაჯილდოებულნი. საბენებისა ფასები კი უფრო გადიდებულნი უნდა იყონ. მაგალითათ, უკანასკნელ წარმოდგენაში პარტერში პირველ რიგში სკამზე იჯდა ერთი პირი, შემოვიდა იქიდან 3 მან. მაგრამ სკამი რომ ორ მანეთათ ყოფილიყო პირველ რიგში, მაშინ სამი მანეთის მაგიერათ თუმანი მაინც შემოვიდოდა. პირველი საქმე ის არის, რომ დრამატულ საზოგადოების გამგეობამ მიიღოს მხეველობაში საშუალო ქართული „მასის“ შეძლება, მისი ეკონომიური მდგომარეობა და ისე დაადვას ფასები ადგილებს.

მსაჯული.



ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში.

„ფიქალი დაქალი“ ლალიონისა. მთამბე 1895 წ. IV—V).

(დასასრული) \*

ოვანე, სანამ მამა-პაპული ჰყოფნის, ადგილებს ჰყიდის და ფულს შოულობს, რომ მითი თვისი ფუქსავატი ცხოვრების მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, ზეიმი და ღზინი განაგრძოს, ქორმეძებრები შეიძინოს და სხე. მხოლოთ, როდესაც მამული ხელიდან ეცლება, ავზაკობის გარდა სხვა საღსარი აღარ ჩჩება ფულის საშოვნელათ. ის ამ საშუალებას მიმართავს, უკანასკნელ ცდასაც აღარ აკლებს, მაგრამ ამაოთ! სხვის საკუთრების ძალადობით მოპოვება აღკრძალულია. იგი ვერ ეწყობა თანამედროვე წესწყობილების მოთხოვნილებას და ცხოვრება მას ისტუმრებს.

ნიკოს მამა-პაპული არ გააჩნდა. ჯერ კიდევ ბავში იყო ის, როდესაც მამამ ერთ ვაჭარს მიაბარა და თხოვა: „შენი ღვთის გულისა აი ბალანი გამიზარდე, ვაჭრობაში გამოაჩიე და ხუთი ექვსი წელიწადი ტყუილაი იმსახურე; ეგება რამე დროში კაცი შეიქნესო?“ ტიმოთესაც უკვე შეუფნია, იმისთვის რომ კაცი შეიქნე ვაჭრობაში გამოჩვევა საჭირო, ფული უნდა შეიძინო; სხვა ღონისძიებას ვეღარ ხედავს დღევანდელ ცხოვრებაში წელის გასამაგრებლათ. წინეთ თუ ტიმოთეი შეიღს არ შეეღვოდა, დღიური შრომის შესამსუბუქებლათ იტოვებდა სახლში, დღეს უფრო მოსაგებიან საქმეზე ისტუმრებს. იქ ელის შევლას, როგორც შეიღისას, აგრეთვე თავისასაც. მიწა იმდენს არას აძლევს რომ დღევანდელი რთული, მრავალგვარი მოთხოვნილე-


ბანი დაიკმაყოფილოს; იგი სხვა გზას პოულობს — ეს გზა კომერცია და ამ გზაზე ისტუმრებს თავის საიმედო შვილს.

შვილმაც არ უმტყუნა მამის იმედს. ნიკომ მალე შეისწავლა ვაჭრობის წესრიგი და შემდეგ დამოუკიდებელი ვაჭარიც გახდა ე. ი. ფულის პატრონი შეიქნა, კაპიტალი შეიძინა. ნიკოს ხელობა — ყიდვა-გაყიდვა. ამისთვის საკმაო გამოცდილებაც შეიძინა სიყმაწვილეში; კარგათ იცოდა ვისგან „შეძლებოდა უფარვის საქონელში მეტი ფასის აღება. მან იცოდა, რომ სოფლელი ვერ არის დახელოვნებული ვაჭრობაში და სწორეთ ამით სარგებლობდა ჩვენი პატარა მოვაჭრე; სრულიად უსარგებლო ნივთსაც კი მამასისხლათ ასაღებდა“. ეს თვისება მას სიღღეშიაც გაჰყვა, რადგან ის ფრიად საჭიროა ვაჭრისათვის. მისი ღვიზია: რაც შეიძლება იაფათ იყიდოს და მეტ ფასათ გაასაღოს. რა კი საზოგადოებაში საქონლის წარმოება იწყება ე. ი. ფულის მეურნეობა გამეფდება, ნიკოც აუცილებელი შუამავალია მხარებელსა (потребитель) და მსხვილ კაპიტალსა, სოფელსა და მეფაბრიკეს შორის. სოფელის ნაწარმოებს, შალს, ღარაიას და სხვ. იაფათ ყიდულობს, რადგან სოფელს არ ძალუძს პირ-და-პირ დამოკიდებულება იქონიოს მეფაბრიკესთან; ჰყიდის ერთი-ორათ; ფულით ფულს იძენს. თავის კაპიტალს ამნაირი ოპერაციით სარგებელს გამოაღებინებს. ქარხნიდან საქონელს ბაზრის ფასათ იბარებს, რადგან ნიკომ კარგათ იცის როცის რა ღირს ეს და ეს საქონელი, მხოლოდ იმევე საქონელს. ერთი ორათ ასაღებს; სოფელმა საქონლის ნამდვილი ფასი არ იცის, „მხოლოდ ბაზრის ფასების რყევის“ (колебаніе рыночныхъ цѣнъ) მას არა გაეგებარა. გლენს საქონელი ეჭირვება და ყიდულობს, აქაც ნიკო რჩება, აქაც მის კაპიტალს ემატება. თუ ბანკში ვისიმე გალატაკებული თავადს მამული იყიდება, ნიკო იქითკენ მიეშურება და დაუყოვნებლივ ახალ ქონებას იძენს. აგერ ერთ აზნაურს თამასუქის ვადა გაუყიდა, რომელსაც ნიკომ საჭიროებს დროს სარგებლით ფული ასესხა; ნიკოს საჩივარი შეაქვს, აღმასრულებელი ფურცელი გამოაქვს და ას თუმანში ათასი თუმნის მამულს ინარჩუნებს; გაჭირვებული გლენი, რომელსაც მრავალი გარდასახადი კარზე მოდგომა, ხოლო გადასახდელი კი არა აბადია-რა, ნიკოსკენ გარბის, ორიოდ ქცევა ადგილი აქვს იმასაც იმას უგირაფებს და ვალს ისტუმრებს. რამდენისამე წლის განმავლობაში ნიკო ადგილის მოსაველით სარგებლობს და შემდეგ კი მთლათ ისაკუთრებს. ნიკო მამულის პატრონიც გახდა; ერთ თავადს არა აქვს ახლა იმოდენი მიწა-წყალი; სამაგიეროთ მოელაც შეუ-

ძლია; ხეხილები გააშენა, ენანი შეენიერა და მათი ყო, ერთი სიტყვით, კულტურული მეურნეობა დაიწყო ყველაფრისთვის საშუალება აქვს. მუშა მის განკარგულებაშია, ყველა სოფლის ბობოლაები მას ფეხქვეშ ეგებიან. უკანონო საქციელს დაუკანონებენ. თუ რასმე დახარჯავს, მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი აქვს, ერთი ორათ დაიბრუნებს. ყველგან ის რჩება მოგებული, მის კაპიტალს თან-და-თან ემატება. სხვისი გაღარბებით ის მდიდრდება.

ამნაირია უფრო საესე სურათი ნიკოსი. ლალიონმა მხოლოდ ეპიზოდი მოგვითხრო მისი ცხოვრებიდან და არა მთელი ცხოვრება. ავტორი ნიკოს ნათლობაში და მის სახლში გვაცნობს და არა ბაზარში, ალებ-მიცემობის დროს. ენახოთ, როგორია ნიკო შინ ანუ სტუმრათ? როგორია იგი ლალიონის მოთხრობაში.

ამპარტავანია ნიკო ტარაძისას, სადაც თვით მასპინძლები თავზე ევლებიან, სტუმრები თაყვანს სცემენ და მოწიწებით ეპყრობიან ფულიან ნათლიას. ეს ვაჭბატონიც იფერებს ამნაირ მდგომარეობას, იგი ცხადათ ამჩნევს თავის უპირატესობას არა მარტო უმწეო გლენების წინაშე, არამედ თვით გიორგი დავლაძის შეილთანაც კი, ამ მის ნაბატონარ აზნაური-შვილთან; დიდი სიღინჯით ამტკიცებს თავის დიდინობას: „ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია“. თუმცა ნიკო ამას თავის საქებრათ, ივანეს წინაშე უპირატესობის დასამტკიცებლათ ამბობს, მაგრამ მის სიტყვებში თანამედროვე ცხოვრების ნამდვილი დედა-აზრია გამოთქმული. ის რაც პუბლიცისტ-ეკონომისტებს მრავალი კვლევიძებით დაუსაბუთებიათ, ნიკომ მოკლეთ და მარტივათ გამოთქვა. ამ სიტყვებშია მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების შინაარსი. წოდებრივი დანაწილების უარყოფა, კარ-ჩაკეტილი, პატრიარქალური ცხოვრების საუკუნო მოსვენება და მის ნაცვლათ კლასიური დაყოფა ჩვენი საზოგადოებისა, სასურთიერ-შორის ვაჭრობა მრეწველობის ფენის შემოდგმა ჩვენ სამშობლოებში — აი, რა არის ჩვენი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების დედა-აზრი. ეს არის ის ამიცანა, რომლის გამო ივანე სახტათ დარჩა და დღეს ბურთა და მოედანი ნიკოს შეატოვა ხელში. ამას ნიკო კარგათ გრძნობს და ამპარტავნობს, მხოლოდ მისი ამპარტავნობა სულ-მდაბალია, მისი ზნეობრივი არსება წერილმანი, ბილწი ანგარებაა. ფულით იმარჯვებს ბაზარში, ფულითვე ცდილობს მოიპოვოს ის გრძნობა, რომლის მოპოვება მხოლოდ სულიერი ერთობით, გონებრივი თანასწორობით, ზნეობრივი სიფაქიზით შეიძლება. მას ნინოს შერთვა უნდა და ამ აზრის განსახორციელებლათ



იგი მაკრინეს მიმართავს. მაკრინე თავისი „მწყალობელი“, „შედლებული“ ნათლიის სასიამოვნოთ ნინოს ოთახში ამწყვდევს, სადაც ნიკო შედის და, საოცარი ვნებით გატაცებული, ქალის დამორჩილებას ცდილობს, ვერაფრითაა წყრომა, ხეწნა-მუდარა ქალის მხრივ ვერ უქარებებს ვაბოროტებულ ბიწიერ გულის თქმას; ქალის სინაზე, უმწეობა ვერ აშლენინებს მას გარდაწყვეტილებას, მაინც ძალას მიმართავს. „რა საკადროსია მაგი, მოწიფულმა კაცმა მომერიე სუსტ ქალს, დამიჯაბნე! გამიშიე ხელი, თუ ღმერთი გწამს“. ევედრება საბრალო ქალი აკანკალებული ხმით. აქ ნიკო ისევ თავის საიმედო იარაღს მიმართავს და ეუბნება: „შენისთანა ცხოვრება ერთ ქალს არ ექნება გურიაში; სადაც შენ ამოირჩევ, იქინეი გაცხოვრებ; ღეთისგან გაჩენილი არაფერი არ მოგაკლდება ქვეყანაზე. საქელი კი გექნება და სამელი, წასელა-და-მოსელა. მამაშენიც მადლიერი იქნება: მე იმის პატივისცემას კი შევიძლებო“. გაიხსენეთ ღ. ერისთვის გმირი—ნესტორ, როდესაც საბრალო გლეხის ცოლს, ძალით იმორჩილებს. „ნესტორ!..... ნესტორ! ნუ დამლუბავ..... ნუ ჩადგები ჩემი ქმარ-შვილის ცოდვაში..... იწამე მირონობა..... იწამე ღმერთიო.....“ ტირილით ევედრება ქალი. მაგრამ გამხეცებულ ნესტორზე ვერაფერმა გულის დამწველმა სურათმა და სიტყვებმა ვერ იმოქმედა. ჩვენი ნიკოც ნესტორს წააგავს ამ შემთხვევაში, იგიც „რაინდია“, მხოლოდ ნესტორზე უფრო ოსტატი, ხერხიანი; ძალას და შეგონებას ერთათ ხმარობს, სიმდიდრეს და ფუფუნებას პირდება ღარიბი აზნაურის ქალს. მან კარგათ იცის თანამედროვე ტყვილები, იცის თუ რა ხორბალი უფრო იტყუებს დღევანდელ შეილებს. რამდენიმე ათი წლის წინეთ შეუძლებელი იყო ამნაირი შეურაცხყოფა მიეყენებინა გლეხს აზნაურის ქალისათვის, რადგან ჯერ სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა; მაგრამ ენახოთ, როგორ შეხვდა ამ საქციელს ნინოს მამამ, მაქსიმემ. აქ ისე ხელოვნურათ და სინამდვილით გადმოგვცემს ავტორი ერთ სცენას, რომ გავკადნიერდები და რამდენსამე ადგილს კიდევ ამოვწერ.

მეორე დღეს გაშმაგებული მაქსიმე სამს-ნასკენ მიბოდა. „რას მიპირობ ახლა რას, შე ქრისტეს ფეხის მქამელო?—შეწყვირა გაბრაზებულმა მამამ მაკრინეს, —შენ ჩემს ვალანძლვას შეგარჩენ, თუ რაეა გგონია?“ — „ბატონო, ჯერ ამბავი შეიტყე და მერე გამიჯავრდი!“ — ელანძე შინ არ დავრჩი და ნიკო შევიდა თურმე ნინასთან, ხელი ჩამოერთმია და ლაპარაკი დაეწყო, ცოლად წამყვიო, ეთქვა. ახლა ასეა ყველგან განათლებულ ადგილებზე, მაგრამ ქვეყანა კი არ დაქცეულა“. „ვითომ რომ გქნათ მია საქმე,

ურიგო იქნება თუ? მოგეცა ღეთის წყალობა იგი შეძლებული კაცი იყოს! ვინაა ახლა მაგის ბადალი გურიაში? მე გეტყვი შენ ქალს ვერ შეინახავს განათლებულათ, თუ რა გინდა?!

— ყაზახს რა ფერ მიეცე ქალი და ისიც კი მათეი კალაძის შეილს, ქვეყანა რას იტყვის?

— შე დალოცვილო ახლანდელ დროში ვინლა უყურებს აზნაურიშვილობას! ყოველი კაცი ცხოვრებაზე იკლავს თავს“. „შედლებული კაცა ქალს კარგათ არჩენს და შენც პატივს გცემს. შეილები გამოსაზარდი გყავს, რომ დაგჭორდეს დღეს ათას მანეთს გიშოვნის“. ამ სიტყვების შემდეგ მაქსიმე დამშვიდდა და გაჯავრების ნაცვლათ, წყნარათ დაეკითხა: „ციკამ რა სთქვაო?“ რამდენიმე დღის შემდეგ მაქსიმე ქალს აგონებს: „რა გიჭირს ბაბა, კი ბიჭია და ძალიანი მდიდარი, ბატონსავეთ გაცხოვრებსო!“ „საცოდვეო ბაბა, გაგიჭირდა და მყიდი“. ქვითინით უპასუხა ქალმა. მაქსიმემ ნიკოსაგან ორპოცი თუმანი მიიღო და ქალს ჯვარი დასწერა. „გაჭირებულმა“ მამამ ყველაფერს წიხლი ჰკრა! შეურაცხყოფასაც, ქალის სურვილსაც, „ქვეყანა რას იტყვის“ ჯავრსაც და ქალიშვილი ფულათ გაჰყიდა.

აი ვინ აუჩნდა ჩვენ სოფელს ზნეობის გამათახსირებელი, ტრადიციების წამშლელი; ვინ დაიწყო მშობლიური გრძობის ეპქრობა, ვინ დაურღვია მას მშვიდი, მყუდრო ცხოვრება, ვინ წაჰკიდა შვილი მამას, ცოლი ქმარს და მეზობელი მეზობელს—ფულმა და მისმა პატრონმა ნიკომ. ნიკო აღარბებს გლეხსა და აზნაურს, მერე თვითონვე ყიდულობს მამისაგან ქალს, ეკონომიურმა ევოლიუციამ დღეს მას მანიჭა უფროსობა. დღემდე, თუ სოფლის ბატონი თავადი ანუ აზნაური იყო, დღეს მისი პატრონი, ბრძანებელი ნიკოა. რა რომ სოფელი ამნარ ეკონომიურ ბადეში გაება მისი წარსულისაკენ დაბრუნება შეუძლებელი ღაა, მან უნებურათ უნდა იაროს ამ გზით. ცხადია, რომ ამნაირი მდგომარეობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგია; სავაჭრო კაპიტალი აუცილებლათ ჩნდება იქ, სადაც საქონლის წარმოება ახალი დაწყებულია. „რაც უფრო ნაკლებათ არის განვითარებული წარმოებო“, ამბობს კარლ მარქსი, — „მით უფრო მეტი ფული გროვდება ეპქრის ხელშიო“. (К. Марксъ. Капиталь т. III ст. 260) მაშასადამე წარმოების განვითარება, მისი ზრდა ეპქარს ასპარეზს უპატარაეებს, რადგან მის ადგილს მსხვილი კაპიტალისტი იჭერს; მხოლოდ პირველი წინამორბედი მეორესი, ის გზას უკაფავს მეორეს დაახლოეებას, რასაკვირეულია დღევანდელ ცხოვრებაში, როდესაც მთელმა ქვეყნებმა ერთმანეთში რკინის გზებით გადაბმულებმა, მსოფლიო ბაზრის

საბმულში თავი შეკუყვეს და გავეროპიელების გზას დაადგენ. აი რას ამბობს იგივე ავტორი ამის შესახებ: „მისი (ვაჭრული კაპიტალის) არსებობა და განვითარება, დანიშნულ დრომდე, ისტორიული პარობა კაპიტალისტური წეს-წყობილების განსაფითარებლათ, 1) როგორც ერთ ადგილს მეტი ფულის შეგროვების დასაწყისი ხანა და 2) რადგან კაპიტალისტური წეს-წყობილების დროს წარმოება სავაჭროთ ხდება, საქონელი ერთბაშათ ბევრი უნდა გასაღდეს და არა თითო-თითოთ, მაშასადამე ვაჭარიც საქაროა; ის თავის საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ როდი ყიდულობს, არამედ ის ერთათ მიტომ ყიდულობს, რომ შემდეგ სხვა ბევრს მიჰყიდოს. მეორე მხრით ვაჭრული კაპიტალის განვითარება ხელს უწყობს იმ გარემოებას, რომ წარმოება თანდათან მხოლოთ საცვლელო საქონელს აკეთებს, მისი მეორებით უფრო და უფრო მეტი ნაწარმოები საქონლათ ხდება“\*). რასაკვირველია, მარქსის აზრით, ყველაფერს ამას ხელს უნდა უწყობდეს სხვა პარობები. მხოლოთ ჩვენში, რომ სხვა პარობები ძალიან უწყობენ ხელს, ეს ცხადია, თუ გავიხსენებთ, რა მჭიდროთ ვართ დაკავშირებულნი დასავლეთა ევროპის წარმოებასთან, რამდენს მაღნეულობას და სხვა ბუნების სიმდიდრეს აწარმოებენ დღესაც საქართველოში\*\*). როგორ დაქსელულია და, უეჭველია, კიდევ უფრო დაქსელდება მომავალში მთელი ამიერი მიერ კავკასია რკინის გზებით, რომელიც საქონლის გადატან-გადმოტანას და ხალხის მიმოსვლას აადვილებს და მით წარმოებასაც ბაზარს უფართოებს

ეს მოსაზრებანი, ჩვენი ფიქრით, ნებას გვაძლევენ დავსკვნათ, რომ ნიკო კაპიტალისტური წეს-წყობილების მომასწავებელია, იგი ახალი დროის მერცხალია, — რომელიც ასე შევნიერთ დახატა „ფირალი დავლაძის“ ავტორმა. ლალიონმა გადილო ის სურათი, რომელიც ცხოვრებაში ჰპოვა და კრიტიკის მოვალეობა აგვიხსნას და გამოგვირკვიოს მისი აწმყო, მოგვითხროს ამ ცნობილი ფრინველის თავდასავალი სხვა ერებში, რომ მით საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის მსურველს შრომა გაუადვილოს, ნამდვილი მკურნალობა ასწავლოს. ჩვენი სურვილი

იყო მხოლოთ საზოგადოების ყურადღება კიდევ მივექცია ამ მოვლენისათვის, დაგვეხსენებინა, თუ რა საზოგადოებრივ ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში ამნაირი ხელოვნური ნაწარმოები და ზოგიერთი სურათები გამოგვერკვია. რაც შეეხება მის საფებით და ცნობიერათ დახასიათებას, ეს უფრო მკოდნე და მეცნიერულათ აღჭურვილ კრიტიკისათვის მიგვიჩნდია, ჩვენ კი ამისთანა მიძიე მოვალეობას ვერ ვიკისრებდით.

ა.დ. წულუკიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ.ნო რედაქტორო! თქვენი გახეთი მკ-47 №-ში დაბეჭდილ წერილში სტუდენტი გ. დ—მე ითხოვს „გვალის“ ქუთათურ კოტეშხანდენტისაგან, რომ უფრო გრცლათ და დამატევიტეუფი საბუთით იქნას გამოქვეყნებული ის სიტყვები, რომელნიც ნასტუდენტამა ფადავამ წამოთქვა ქუთაისის ოლქის სასამართლოში ყიფიანისა და გელეშიფილის საქმის განჩევის დროს. თუმა ჩვენ აზვანთ ავტორი ამ საგნის შესახებ „გვალში“ დაბეჭდილი მატინისა, მაგნამ რადგანაც იმ მართალ შენიშვნებს დაუფრეხული ვუდი გამოკა და რადგან სტუდენტი გ. დ—მე ეჭვს აცხადებს, ამისთვის საჭიროთ მიგვიჩნია დაკინთ შემაკე: იმ დეს, რადესაც ყიფიანის და გელეშიფილის საქმე იჩიოდა ოლქის სასამართლოში, სხვა ინტელიგენტ მაუჭებელთაშორის დაქსენ: ს. გვიტაშვილი, გ. გვილესიანი, გ. აბაშიძე, ჰ. სურგუდაძე, ჰ. მეფისაშვილი, გ. მასსუღია, ს. კილაძე და ი. ნიკოლაიშვილი. \*)

ივანე კილაძე.

თოთუის სროლა.


მისის ღამეა. ჩხერულას ხეობაში ცის დედოფალი ამობრწყინდა და მისმა პირბადრმა სახე ნათელი მოჰფანა მიდამას, შუქა მისი ჩაწვდა ჩხერულას მდინარეს და შიგ სნივები ჩააკრიალა. ტყით შემოსილი უზარმაზარი ქედები, თითქოს დევები, ერთმანეთს

\* ) K. Марксь. Капиталь т. III ст. 261.

\*\* ) ის. ამის შესახებ „გვალი“ 1898 წ. № 4.

\*) ჩვენ ვთხოვთ ამ მიწათ გამოთქვან თავისი

აზრი ამ საქმის შესახებ.



შეწოლოდენ. მათ შორის მდინარე ჩხერულა გვე-  
ლეშაპივით მიიკვლავებოდა და მთვარის შუქზე ალ-  
მასივით აპრიალეზულიყო. ძირს ჩხერულას ორივე  
მხრით ჩაჩრდილულ ჭალებში პატარ-პატარა ოდები  
იყო გაბნეული, საიდანაც მთვარის შუქზე მოწითლო  
ნაპერწკლებათ გამოჰკიაფობდენ ანთებული კერები.  
ბუნების საიდუმლო სიჩუმეს ხან-და-ხან არღვევდა პა-  
წია ურმის კრიალი. სოფლის ძაღლები შეყეფვით  
ეკითხებოდენ მეურმეს, ვინ ხარ, რომ ასე გვიან ურემს  
მოაქრიალებო? ჩხერულას უხეილი კი ჩათვლემილ  
არე-მარეს ნანას ეუბნებოდა.

ამ დროს, აზნაური კიკოლა კაპუეტაშვილი შინ  
დაბრუნებულიყო და მოეტანა ორმოციოდე კალმახი.  
მეორე დღეს იმას მომრიგებელ სასამართლოში საქ-  
მე ჰქონდა გასარჩევი და ჰსურდა მოსამართლესთან  
ხელი დაეშენებინა. ის თავის მეზობელს, აზნაურს  
ფასია ნაძრახიშვილს უჩივოდა, სასუქი ღორი დამიკ-  
ლა და შემიჭამაო. კიკოლა კაპუეტაშვილი ძალიან  
მარჯვე მუშაკი იყო. ადგილ-მამული საქმათ ჰქონ-  
და. ზოგს სანახეროთ. აძლედა, ზოგს თვითონ მუ-  
შაობდა. ამას გარდა შეენიერი მებაღურიც იყო. ჩხე-  
რულას კალმახებს მისთანა მტერი არ ჰყავდა. იმ და-  
მეს კიკოლა კაპუეტაშვილი გვიან დაბრუნდა წყლი-  
დან. თუმცა ძალიან დასველებული და დაქანცული  
იყო, მაგრამ მაგიერათ კალმახებიც ბლომათ ეშოვნა.

ბევზე გადმომდგარ მის ოდას განიერი აივანი  
ჰქონდა, რომელიც გადაჰყურებდა ჩხერულას ჭალებს.  
ოდას ქვითკირის პალატი ჰქონდა ქვემოთ შედგმუ-  
ლი. კიკოლა ზამთრობით იქ ჩაებარებოდა ხოლმე,  
რადგან უფრო თბილი იყო; გაზაფხულობით კი, აპ-  
რილის თვიდან, ისევე აებარებოდა ზემოთ ფიცრულ  
ოდაში, რომელიც იყო სამ თვალათ გაყოფილი: ერ-  
თი დიდი სასტუმრო დარბაზი, ერთი საწოლი ოთახი  
და ერთიც საკუქნაო ოთახათ იყო გადაქცეული,  
საცა მასპინძლებს ქვეშსაგები და მრავალგვარი საო-  
ჯახო ხაბაკი ჰქონდათ შენახული.

კიკოლამ გაკიდა აივნის სვეტებზე თავისი სა-  
სროლი ბადე. ტყვიებით შემოხირბლოული, გასაშრო-  
ბათ; ახალ დაჭერილი კალმახებით გაესხებული კალათი  
კი ჩამოჰკიდა სვეტზე, რომ ღამეში გრილათ შენახუ-  
ლიყო. იმან შემოიშრო ტანზე დასველებული ტანისა-  
მოსი ზმერე დაჯდა ცოლშვილში ეახშმათ. ღამის დი-  
დი ხანი იყო გასული, რომ კიკოლა და მისი ცოლ-

შვილი წავიდენ დასაძინებლათ. მთვარე უკვე დასვე-  
ლეთისკენ აყო გადახრილი და აივანს შემოქათ-  
ქათებდა. კიკოლა გაერთო სხვა-და-სხვა ფიქრებში.  
იმას განსაკუთრებით აწუხებდა ხელოინდელი საქმე  
სასამართლოში. თვალ წინ უდგა კვიმატათ ფასია  
ნაძრახიშვილი, სასამართლოებში წანწალით გავარ-  
ჯიშეჭული. კიკოლას ეშინოდა მისი მოქნილი ენის.  
მას ჰირივით მიაჩნდა სასამართლოში წასვლა, მაგრამ  
რა ექნა, მეტათ გაბრაზებული იყო ფასიაზე. ეს ერ-  
თი ხანი იყო, ფასია შეჩვეოდა კიკოლას არე-მარეს:  
ხან ყანას მოუძოვდა საქონლით, ხან ტყეში დადგ-  
მულ ხორას დაუნგრევედა და რამდენსამე ურემ შე-  
შას მოტაცებდა გასაყიდათ, ხან საქათმეში შეეპარე-  
ბოდა კარგი მსუქანი ყვერულების გამოსაყენათ.  
კიკოლიამ იცოდა, რომ ფასიას მისი მეზობლებიც  
აფორიაქებული ჰყავდა და ბევრს უთმენდა, რადგან,  
ცოტა არ იყოს, კიდევ ეშინოდა მისი მოხერხებუ-  
ლობის. ფასიას მთელი წრე ჰყავდა დაქირავებული  
მოწმებიან, რომელნიც ცრუ ფიცით აკებიებდენ სა-  
სამართლოში საქმეებს. მაგრამ კიკოლამ სასუქი ღო-  
რის დაკვლა მაინც ვეღარ შეარჩინა, რადგან ამ გა-  
სუქებული ღორით უნდა გამასპინძლებოდა დაპატი-  
ებულ მუშებს ყანების მაგვლაში. ახლა, მეტი რა  
ლონე იყო, რაკი გასუქებული საკლავი აღარ ჰყავდა,  
უნდა ეყიდა სადმე. ათი, თუთხმეტი მანეთი მაინც  
დაეხარჯებოდა, და უამისოთ აზიბინებული ყანები  
წაუხდებოდა. კიკოლას თუთხმეტი მანეთი კი არა,  
ერთი აბაზის დახარჯვაც სიკვდილათ მიაჩნდა.

— ნეტაი იმდენი სიმიდი მაინც არ შემეკმია,  
ნახევარი წელიწადია, სასუქი მყავდა საღორეში შემ-  
წყედებული. დღემი ერთი ბათმანი სიმიდი არ ყოფ-  
ნიდა. უკანასკნელი რომ ეთქვა, თუთხმეტი მანათას  
მარტო სიმიდი დამეხარჯა. ახლა კიდე თუთხმეტი მა-  
ნათი უნდა მეცე ახალ საკლავში, ერთი სიტყვით  
ჩამაგდო ფასიამ ვალში, დამლუბა, ცოლ-შვილიანა  
ცეცხლზე დამადგა. ამას რაფა შევარჩენ? თუ სამარ-  
თლით არა მეშველარა, თავი უნდა გავიმეტო. სად-  
მე ტყეში ჩავესაურები და თოფით გავაკარებ. მეც  
ამოვიყრი გულის ჯავრს და მეზობლებსაც დავიხსნი  
მავის ქურდობისაგან... — ლაპარაკობდა თავისთვის კი-  
კოლა იმ ღამეს და ძილი არ ეკიდებოდა.

ჩუ!.. რალაც ფეხის ფაჩუნნი შემოესმა. ის  
იყო, მთვარე ჩადიოდა, ზმ დროს აივანზე რაღმაც

ბრახუნი მოადინა. კიკოლამ ველარ მოითმინა, წამოვარდა ზეზე, ჩამოიღო კედლიდან გატენილი თოფი, გამოვარდა აივანზე და მაშინვე გაკიდებულ ბადეს მიაშურა. რადგან ყურში ჩარჩა ბადის ტყვიების რახა-რუხი, გულში გაივლო ბადეს არაფერ მპარავდესო. მართლაც ბადე აღარ იყო. მერე კალმახებიან კალათს შეატანა ხელი; აღარც ის იყო. უეცრათ გადახედა ბეგზე და შენიშნა ჩამავალ მთვარის შუქზე, რომ ვინაცა მოკუტული ძირს, დავაებაზე მიიპარებოდა. კიკოლას ბეგრი აღარ უფიქრია, ამოიღო თუ არა ნიშანში, იგრიალა ჩმისმა თოფმა. მერე დაეშვა ფერდობზე და რომ მივიდა იმ ალაგს, სადაც თოფი დაუმიზნა, ნახა, რომ იქ მისი კალათი ეგდო, რომელსაც ზევიდან ბადე ჰქონდა გადაფარებული. ბადე რომ აიღო, კალათში კალმახები ეწყო, კაცი კი არაფერ ჩანდა.

— სად გაქრა ის ეშმაკის შვილი — წაიბუტბუტა კიკოლიკამ და ახლოს დააცქერდა მიწას. მან შენიშნა იქ სისხლის წვეთები; მიჰყვა ამ სისხლის კვალს და ფასიას ეზოს მიაღწა. „ეს კარგი ჯიხვი დავკოდიო“ წაილაპარაკა თავისთვის კიკოლიკამ, — გამობრუნდა შინ და წამოიღო თან კალმახებიანი კალათი თავისი ბადით. შემოვიდა თუ არა აივანზე, მას მოეგება გულგახეთქილი ცოლი:

— რა იყო, კაცო, რას ესროლე თოფი? ხომ არაფერ შემოგკედომია?

კიკოლამ ცოლს ტუჩზე ხელი დააფარა და ჩუმად უთხრა: — არაფერია, ვინაცას სისხლი ევლინე და არვიცი კი, ვინ იყო. ჩემი ბადე და კალმახებიანი კალათი მიჰქონდა... კი მოგებით დაბრუნდა შინ ის ვინცლა იყო. მგონია, შორეული არ უნდა ყოფილიყო. შენ გაჩუმდი დედა-კაცო, ხმას ნუ ამოიღებ. ვითომც არა იცირა — დაარბია ჩუმად თავისი მეუღლე კიკოლიკამ.

— ვაი, შენ ჩემო თავო, ვაი ჩემს მოსწრებას-ვაი თუ მოკალი?... ხომ წაეწყდით სულით და ხორციით. ვინლა გაპატივებს? — მწუხარე გულის ფანცქალით შეწუწუნებდა ცოლი კიკოლას.

— სსუ!... მეტი ხმა აღარ ამოიღო. მოწყენილი სახეც არაფერ აჩვენო, თვარა თუ დამლუპამ, ისევ შენ დამლუპამ, სხვა კი არაფერ. ცოლ-ქმარი, გულგახეთქილნი, შევიდენ საწოლ ოთახში.

ბ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

საქველ-მოქმედო საქმე

**ქ-ნო რქაქტორო!** უმოწმიდესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ უგულისათაჲსი მადლობა გამოგუცხადოთ მოსკოვის უნივერსიტეტის ივანე გომარტელს, რომელმაც წარსულ 1897 წ. სექტემბრიდან გამოუწერა ჩემდა რწმუნებულ ქორეთის სასოფლო სკოლას ქურხალი „კვავილი“. მოწათენი, მოკლეოუენი ამ გვარსაკის დას, აღტაცებით მიუგებენ „კვავილს“. დიდი მადლობა ღმერთსა ბ. გომარტელი მით უმეტეს, რომ ასეთი უფასო შემოწიწელობას ვინგულისთ დეპუტატს ქორეთის სასოფლის სკოლა თავის თანამედროვე თანამგძმობელ სასოფლო-საგანს, თავის რგი წლის აწესებობის განმავლობაში,

ქორეთის სკოლის მასწავლებელი დ. აბდუქელიშვილი.

**ქ-ნო რქაქტორო!** უმოწმიდესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთი „კვავლის“ საშუალებით უგულისათაჲსი მადლობა გამოგუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილინებეს და შემოსწიწეს 19 მანეთი დაბა ვეიჩილის უფასო სამკითხველს \*

ეს ფულები გარდაკვეტი სამკითხველს გამგეს სამსონ კლავაძეს.

ქორეთის გილდის ვაჭარი დიმიტრი რქაქტორისძე სუნდაძე.

**ქ-ნო რქაქტორო!** უმოწმიდესათ გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „კვავლის“ საშუალებით მადლობა გამოგუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილინებეს და დახმარება (20 მ.) აღმოუჩინეს ღირსეულ სტუდენტს სეთ დეკრდანას ქალაქ იურიკის უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელათ.

ქაგავი. ს. გოციჩიკი.

ქართული თეატრი.

გენერალნი კ. მისხილსა სუთმაბათს, შინოემბერს ქართულ დრამატულ საზოგად. არტისტებისაგან იმ. მისხილს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

11 ქორტისი აზნაყისი.

კომედია 4 მოქმედებათ.

\*) უადგილობის გამო შემოწმირველთა სიას ვერცხლად და ვერც კვლავ ვერ დაბეჭდავს რქაქტორი.

რქაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა